

Do we need Shakespeare or not?

Autor and Director: Zurab kandelaki

Sound: Bako Khvichia

Some kind of incomprehensible sounds in a place with music. Actors get together for audio recording.

D.J: (in broken English) I'd like to present...

TEACHER: It's no good...listen! (in English, not pronouncing very well) I'd like to present...repeat! (in English) Pre-sent!

TEACHER: It's no good...listen!

I ACTOR: william shakespeare. 66-sonnet

Tired with all these, for restful death I cry,
As to behold desert a beggar born...

SOUND RECORDER: : One... two...three...

SOUND ENGINEER: Enough! We are ready!

Music

I VOICE: “ What are you reading, my Lord? “

II VOICE: : “Word, words, words... “

I ACTOR: Tired with all these, for restful death I cry,
As to behold desert a beggar born,
And needy nothing trimm'd in jollity,
And purest faith unhappily forsworn,
And gilded honour shamefully misplac'd,

And maiden virtue rudely strumpeted,
And right perfection wrongfully disgrac'd,
And strength by limping sway disabled
And art made tongue-tied by authority,
And folly—doctor-like—controlling skill,
And simple truth miscall'd simplicity,
And captive good attending captain ill:

EDITOR: We go on with our interactive poll. As a result of the poll we can determine the

principle of our further work! We remind you of our question: Do we need Shakespeare

today...

II ACTOR: “Oh, that this too sullied flesh would melt

Thaw and resolve itself into a dew.”

EDITOR: In modern radio besides you know that words take only thirty-two per cent of the whole

time. The rest is

Music. An excerpt from the operetta "Arshin Mal Alan". Song Lyrics

There is money, I'll go out!

If not, I'll go to another!

EDITOR: Yes, it's like this: words take only thirty-two per cent.

II ACTOR: O, God, God! How weary, stale,

flat and unprofitable seem to me all the uses of this world.”

EDITOR: The interactive poll is going on. According to the latest data, to the regret of some people,

Shakespeare is losing!

II ACTOR: “tis unweeded garden that grows to seed.”

Music.

PRODUCER: Just mind that it's me who pays money, me! Me and my pals...We must attract

advertisements...All our programs must meet the updated demands, they should

cater our listeners' demands!

Fragment from the musical "cabaret"

D.J.: While they are doing it I'll tell you about the results of our interactive poll... So 72 per cent are

indifferent...as for Shakespeare... Taking into consideration the interactive poll results, in a

few minutes we'll offer you a new entertaining talk-show! To our great joy we'd like to tell

you that the members of the studio “Loto” will take part in the new program.

I ACTOR: Tired with all these, for restful death I cry,

As to behold desert a beggar born,

And needy nothing trimm'd in jollity,

And purest faith unhappily forsworn,

And gilded honour shamefully misplac'd,

And maiden virtue rudely strumpeted,

And right perfection wrongfully disgrac'd,

And strength by limping sway disabled

And art made tongue-tied by authority,
And folly—doctor-like—controlling skill,
And simple truth miscall'd simplicity,
And captive good attending captain ill:

Music.

TALK SHOW PRESENTER: Now I'll tell you a joke. Believe me, if you have heard it once, you are sure to laugh! If you haven't, you will still laugh by all means! But the pre requisite of our success is that even though you don't feel like laughing, still you must laugh!

D.J.: : Laugh! Laugh! What are you waiting for!

Laugh.

I ACTOR: Tir'd with all these, from these would I be gone,

Save that, to die, I leave my love alone...

Music plays with the text: Buy, Buy, Buy, Buy something ...

გვჭირდება თუ არა შექსპირი

ავტორი და რეჟისორი: ზურაბ კანდელაკი

ხმის რეჟისორი: ბაკო ხვიჩია

მუსიკასთან შერეული გაურკვეველი ბგერები. მსახიობები ემზადებიან აუდიო ჩაწერისთვის.

დიჯეი: /დამტკრეული ინგლისურით/ მე, მინდა წარმოგიდგინოთ...

მასწავლებელი: არ ვარგა... ყური დამიგდეთ! /ინგლისურად, არცთუ ისე კარგი გამოთქმით/მე,მინდა წარმოგიდგინოთ...გაიმეორეთ!

დიჯეი: მე მინდა წარმოგიდგინოთ...

მასწავლებელი: არ ვარგა, აი ასე...

პირველი მსახიობი: უილიამ შექსპირი - 66-ე სონეტი.

”ყველაფრით დაღლილს სანატრელად სიკვდილი დამრჩა,

რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება,

ხმის ოპერატორი: ერთი, ორი, სამი...

ხმის ინჟინერი: კარგია! ჩვენ მზად ვართ!

მუსიკა.

I ხმა: “რასა კითხულობთ, ხელმწიფის შვილო?”

II ხმა: “სიტყვებს, სიტყვებს, სიტყვებს...”

პირველი მსახიობი:

ყველაფრით დაღლილს სანატრელად სიკვდილი დამრჩა,

რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება,
რადგან არარამ შეიფერა ძვირფასი ფარჩა,
რადგან სიცრუე ერთგულების გახდა თვისება,
რადგან უღირსებს უსამართლოდ დაადგეს დაფნა,
რადგან მრუმობით შელახულა უმანკოება,
რადგან დიდებას სამარცხვინოდ უთხრიან საფლავს,
რადგან ძლიერი დაიმონა კოჭლმა დროებად.
რადგან უწმინდეს ხელოვნებას ასობენ ლახვარს,
რადგან უვიცი და რეგვენი ბრძენობს ადვილად,
რადგან სიმართლე სისულელედ ითვლება ახლა.
რადგან სიკეთე ბოროტების ტყვედ ჩავარდნილა.

რედაქტორი: განვაგრძობთ, ჩვენს ინტერაქტიურ გამოკითხვას. გამოკითხვის შედეგად, ჩვენ განვსაზღვრავთ ჩვენი შემდგომი მუშაობის პრინციპს. შეგახსენებთ ჩვენს შეკითხვას: გვჭირდება თუ არა, დღეს შექსპირი...

მეორე მსახიობი: “რად არ მეშლება ეს სხეული ესრეთ მაგარი...”

რედაქტორი: თანამედროვე რადიოში სიტყვას დროის მხოლოდ ოცდათორმეტი პროცენტი უკავია, დანარჩენი მუსიკაა!

მუსიკა. ნაწყვეტი ოპერეტიდან „არშინ მაღალან“: სიმღერის ტექსტი:

თუ ფული გაქვს შენი ვარ და თუ არა სხვისი ვარ...

რედაქტორი: დიახაც ასეა, სიტყვას მხოლოდ ოცდათორმეტი პროცენტი უკავია...

მეორე მსახიობი: “ოჰ, ღმერთო, ღმერთო! ყველა საქმე ამ წუთისოფლის, როგორ ფუჭია, უნაყოფო, დაობებული...”

რედაქტორი: მიმდინარეობს ჩვენი ინტერაქტიური გამოკითხვა, უკანასკნელი მონაცემებით, ზოგიერთებისთვის რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, შექსპირი აგებს!

მეორე მსახიობი: “თითქოს ქვეყანა იყოს ბაღი გაუმარგლავი, რაშიაც ხარობს მხოლოდ ღვარძლი, ცუდი ბალახი...”

მუსიკა:

პროდუსერი: გაიგეთ, მე ვიხდი ფულს, მე!.. მე და ჩემი ძმაცაცები... ჩვენ, უნდა მოვიზიდოთ რეკლამა... ჩვენი ყველა გადაცემა უნდა აკმაყოფილებდეს თანამედროვე მოთხოვნებს, უნდა პასუხობდეს მსმენელების მოთხოვნილებებს!

ფრაგმენტი მიუზიკლიდან „კაზარე“,

დიჯეი: გაცნობებთ ჩვენი ინტერაქტიური გამოკითხვის შედეგებს... მაშ ასე, 72 პროცენტი მხარს უჭერს გასართობ ტოქ შოუს, 27 პროცენტისთვის სულ ერთია, ხოლო შექსპირმა... ვითვალისწინებთ რა, ინტერაქტიული გამოკითხვის შედეგებს, რამდენიმე წუთში შემოგთავაზებთ, ახალ, გასართობ ტოკ-შოუს!.. აქვე მინდა გაცნობოთ, რომ ჩვენდა სასიხარულოდ ამ ახალ პროგრამაში მონაწილეობას მიიღებენ სტუდია “ლოტოს” წევრები.

პირველი მსახიობი:

ყველაფრით დაღლილს სანატრელად სიკვდილი დამრჩა,

რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება,

რადგან არარამ შეიფერა ძვირფასი ფარჩა,

რადგან სიცრუე ერთგულების გახდა თვისება,

რადგან უღირსებს უსამართლოდ დაადგეს დაფნა,

რადგან მრუმობით შელახულა უმანკოება,

რადგან დიდებას სამარცხვინოდ უთხრიან საფლავს,

რადგან ძლიერი დაიმონა კოჭლმა დროებამ.

რადგან უწმინდეს ხელოვნებას ასობენ ლახვარს,

რადგან უვიცი და რეგვენი ბრძენობს ადვილად,

რადგან სიმართლე სისულელედ ითვლება ახლა.

რადგან სიკეთე ბოროტების ტყვედ ჩავარდნილა.

მუსიკა.

ტოკ შოუს წამყვანი: მე, ახლა მოგიყვებით ერთ ანეკდოტს, მერწმუნეთ, თუ ერთხელ მაინც გაქვთ მოსმენილი, აუცილებლად გაგეცინებათ! თუ არა გაქვთ მოსმენილი, მაშინაც გაგეცინებათ! მაგრამ ჩვენი წარმატების საწინდარი ისაა, რომ თუ საერთოდ არ გეცინება, მაინც უნდა გაიცინო!

დიჯეი: გაიცინეთ, გაიცინეთ, რაღას უყურებთ!

სიცილი.

პირველი მსახიობი:

ასე დაღლილი ამ ქვეყნიდან გაქცევას ვარჩევ,

მაგრამ არ მინდა, ჩემი სატრფო ობლად რომ დარჩეს.”

მუსიკის ფონზე ტექსტი:

იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ, ჩქარა... იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ, რამე...